



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/9135
07/11/2018

9135-09-2-201811071638



საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების
ცენტრის პროგრამის კოორდინატორს ვახტანგ კობალაძეს

ელ.ფოსტა: www.csrdg.ge

ბატონო ვახტანგ,

გაცნობებთ რომ, 2018 წლის 19 ოქტომბრისა და 2 ნოემბრის სსიპ. სურსათის ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი წერილების (№17419, 18171) საფუძველზე, რომელიც ეხებოდა ქ. თბილისში მდებარე მარკეტში შპს „ორი ნაბიჯი“-ში(ს/კ 204571668 ნუცუბიდის ქ. N221) „ჰანე“-ს ფირმის შვრიის ფანტელის შეძენის ფაქტს, რომელშიც აღმოჩნდა უცხო სხეულები - მატლები, თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ ჩატარდა სახელმწიფო კონტროლი სასურსათო მაღაზიაში და შვრიის ფანტელის დისტრიბუტორ კომპანია შპს „ლორგო“-ში (ს/კ 209480239, მის: ქ. თბილისი, გრ. ლორთქიფანიძის ქ. N42).

2018 წლის 23 ოქტომბერს მარკეტის შემოწმებისას დადგინდა რომ, დახლზე განთავსებული სურსათის(შვრიის ფანტელი) შენახვის პირობები და რეალიზაციის ვადები დაცულია. ასევე ეტიკეტი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2018 წლის 6 ნოემბერს თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა შპს „ლორგო“-ში(ს/კ209480239, ისანი-სამგორის რ-ნი, კაიროს ქ. N42), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნულ ბიზნესოპერატორთან დაფიქსირდა ხუთი არაკრიტიკული შეუსაბამობა და შევსებული იქნა შესაბამისობის შეფასების აქტი და მიეცა გონივრული ვადა მითითებების შესასრულებლად. სახელმწიფო კონტროლის შედეგად დადგინდა რომ, პროდუქციის შენახვის პირობები, ტემპერატურული რეჟიმი, რეალიზაციის ვადები და ეტიკეტი შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი

